პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# წითელი მეომარი

ფასი 3 კაპ.

ოთხშაბათი, 12 მაისი 1926 წ.

ყოველდღიური გაზეთი

რედაქციის მისამართი: ტფილისი, ევანგულოვის ქ. ელსმენი 2—24.

განცხადების ფასი პირველ გვერდ. 80 კ. სტრ. 4 გვ. 40 კ.

102 (1097) | 1 და 2 ქართული მსროლელი დივიზიის პოლიტ-განების ყოველდღიური გაზეთი | 102 (1097)

## ვემზადოთ „ტყის დღისათვის"

თექვსმეტ მაისიდან საქართველოს მასშტაბით ჩატარდება „ტყის დღის" კამპანია და ამ კამპანიის გატარებაში უთუოდ დიდი მონაწილეობას მიიღებს მშრომელთა ფართო მასები.

ხოლო ამ კამპანიის ჩატარებაში არა ნაკლები მონაწილეობა უნდა მიიღოს ჩვენი წითელი ჯარმა.

მაგრამ სანამ გავარკვევდეთ იმას, თუ როგორი მონაწილეობა უნდა მიიღოს ჩვენი წითელი ჯარმა ამ კამპანიაში, მანამდი ჩვენ გვსურს მოკლეთ გავარკვიოთ თვით ამ „ტყის დღის" კამპანიის მნიშვნელობა.

მართლაც ტყეს მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს ქვეყნის ჰავისათვის და საერთოდ მეურნეობისთვისაც.

გარდა იმისა, რომ იგი წარმოადგენს ერთგვარ ნედლ მასალას სხვა და სხვა ნივთების აკეთებისათვის, დიახ, გარდა ამისა ტყეს ის დიდი მნიშვნელობა აქვს, რომ მისი დაცვას და მოვლას დიდი გავლენის მოხდენა შეუძლია კლიმატიურ მდგომარეობაზე. ეს კი იმას ნიშნავს, რომ რამდენადაც დიდი სივრცე უკავია ტყეს, იმდენათ მას შეუძლია მეტად დიდი გავლენა მოახდინოს ჰაერზე იმ მხრივ, რომ მას შეუძლია იგი გაასუფთაოს, გაწმინდოს და გააჯანსაღოს. გარდა ამისა ტყის დაცვას ის დიდი მნიშვნელობა აქვს, რომ მისი მოვლით და გაშენებით ადვილათ მოხერხდება ისეთი სტიქიური უბედურების თავიდან აშორება, როგორიც არის გვალვა, ნიაღვარი, ქარი და სხვა, რომელსაც რასაკვირველია დიდი ზიანის მიყენება შეუძლია სასოფლო მეურნეობისათვის.

აგრეთვე "ტყე წარმოადგენს ჩვენი რესპუბლიკის მატერიალური კეთილდღეობის ერთად ერთ ძლიერ ძალას და კერძოთ კი ჩვენი გლეხკაცობისათვის საწვავ და საშენ მასალას.

როგორც ვხედავთ ტყეს მართლაც, რომ დიდი მნიშვნელობა ქონია ქვეყნის კეთილდღეობისათვის. და ამიტომ კი საჭიროა, რომ მისი გაჩეხვა არ იქნეს დაშვებული და ყოველ შემთხვევაში თუ მაინც იქნა დაშვებული მისი გაჩეხვა საჭიროა, რომ იგი უსისტემოთ არ იქნეს გაჩეხილი, როგორც ამას ამდენხან ქონდა ადგილი.

ახლა კი ისმის ასეთი საკითხი: როგორი დამოკიდებულება უნდა გამოიჩინოს ჩვენი წითელი ჯარმა ამ კამპანიისადმი?

მისი დამოკიდებულება უმთავრესად უნდა გამოიხატებოდეს იმაში, რომ როდესაც ჩვენი წითელი ჯარი საკარვოთ გავა და ამრიგათ ახლო იქნება გლეხურ მასასთან, აი სწორეთ მაშინ საჭიროა, რომ ჩვენი წითელი ჯარის ნაწილებმა მხურვალე მონაწილეობა მიიღოს ტყის დაცვაში და მისი არა უსისტემო გაჭრაში.

ამიტომ მეტი ყურადღება „ტყის დღეს" და ვეცადოთ, რომ ამ კამპანიის ჩატარება ჩვენც სათანადოთ შევასრულოთ და გავატაროთ.

## ჩვენი კონფერენციის უდიდესი მნიშვნელობა

ქ. თბილისში მდგომ ნაწილების 1-ლ დივ. უპარტიო წითელ არმიელთა 6 საგარნიზონო კონფერენცია დასრულდა კვირას 9 მაის. კონფერენციის მნიშვნელობა განუზომელია ქართული ნაწილების ცხოვრებაში. ის გახდა ერთ-ერთი საუკეთესო საშვალება გამოერკვია ზამთრის განმავლობაში მიღწევები და ნაკლი და იგივე კონფერენცია იძლევა საუკეთესო გზებს თავისი პრაქტიკული წინადადებით მომავალ საბანაკო მუშაობისათვის. კონფერენციის მთელი შემადგენლობას ისეთი აქტიურობა ეტყობოდა, რომ ის აღარ გავდა წარსულ კონფერენციებს. უპარტიო წითელ არმიელები გამოდიოდენ თავიანთ სიტყვებით კამათში, ადასტურებდენ ამა თუ იმ მიღწევებს ან ნაკლს და მიუთითებდენ გამოსასწორებელ საშვალებებზე. კონფერენციაზე არაჩვეულებრივი აქტიურობა უპარტიო წ. არმიელების წარსულ კონფერენციებთან შედარებით ერთხელ კიდევ ადასტურებს იმ გარემოებას, რომ ნაწილები უდიდეს ყურადღებას აქცევენ ფართო წ. არმიელთა აღზრდის საქმეს.

მთელი წითელ არმიელების სიტყვა კონფერენციაზე საქმიანი და ღირსშესანიშნავი იყო; ყველას ეტყობოდა, რომ საბჭოთა ხელისუფლება, რომელმაც გამოიწვია ის ჯარში, ცდილობს მის სამხედრო ცოდნის მიღებასთან ერთად წ. არმიელისაგან აღიზარდოს ღირსეული მუშა, გლეხი, ამხანაგი და მოქალაქე.

რეზოლიუციები, რომლებიც იყო მიღებული კონფერენციაზე ზამთრის მუშაობის და საბანაკო მომავალ მუშაობის შესახებ, აშკარათ ადასტურებს კონფერენციის საქმიანობას. მომავალი მუშაობა საბანაკო პერიოდში, როცა ბანაკში გასვლამდე კონფერენციის საშუალებით გარკვეულ იქნა და თითქმის ყველა წითელ არმიელი აქტიურობდა მის შედგენაში, ერთხელ კიდევ აადვილებს იმ მუშაობის დაწყებას და გატარებას, რაც შარშანდელ წლებში შეუძლებელი ხდებოდა.

ჩვენ უსურვებთ კონფერენციის წევრებს, რომლებმაც აქტიურობა გამოიჩინეს კონფერენციაზე, თავისი გამოცდილება და ცოდნა გაუზიარონ თავიანთ ამხანაგებს და შეუდგენ მომავალ მუშაობის გაძლიერებას ნაწილში.

ტ. მამალაძე.

# ახალი რადიო ამბები

## საყოველთაო გაფიცვები ინგლისში

### მთავარ საბჭომ უარი განაცხადა საზღვარგარეთიდან დახმარების მიღებაზე

გაფიცულები მტკიცედ სდგანან თავის პოზიციაზე

### შტრეიკბრეხერთა გამოუცდელობით რკინისგზებზე გახშირდა მარცხი

#### გაფიცულთა ფრონტი მტკიცეა

ინგლისის პროფკავშირმა გამოაქვეყნა ცნობა, რომელშიაც აცხადებს, რომ გაფიცულთა ფრონტი წინანდებურად მტკიცეა.

კვირას მთელს ინგლისში ბრწყვინვალედ ჩატარდა მიტინგები.

წვრილ ბურჟუაზიის ნაწილი თანაუგრძნობს გაფიცულებს.

#### დაპატიმრება გრძელდება.

ინგლისის ყველა ნაწილებში გრძელდება დაპატიმრება. უკანასკნელ ორი დღის განმავლობაში დაპატიმრებულ იქნა 374 კაცი.

გლაზგოში დაპატიმრებულ იქნა 200 კაცი „წესრიგის დარღვევისთვის". სხვა და სხვა ქალაქებში დააპატიმრეს რამოდენიმე მუშათა ბელადი.

#### მთავრობის ცნობა

მთავრობის ცნობაში ნათქვამია:

„პრემიერ ბალდუინის საპასუხოდ, რომ პროფკავშირთა საბჭო არღვევს კონსტიტუციასო საბჭომ შემდეგი განაცხადა: „წინააღმდეგ პრემიერის ბრალდებისა, ჩვენ არ ვარღვევთ არც კანონებსა და არც ჩვენი კონსტიტუციის ჩვეულებებს. ჩვენ უამრავი დახმარების წინადადებები მივიღეთ საზღვარ გარეთიდან, მაგრამ საზოგადოების დასარწმუნებლად, რომ ჩვენ არ მივდევთ რევოლიუციონურ მიზნებს, უარვყავით დახმარება მსგავსად იმისა, როგორც არ მივიღეთ ჩვენ რუსეთიდან მიღებული წინადადება".

#### ბელგიის ნავთსადგურებში.

ბელგიის ნავთსადგურებში შეწყვეტილ იქნა ინგლისში გასაგზავნ საქონლის დატვირთვა.

#### მთავარ საბჭომ უარი განაცხადა საზღვარგარეთიდან დახმარების მიღებაზე.

ინგლისის პროფკავშირთა საბჭომ უარი განაცხადა სხვა და სხვა ქვეყნის პროლეტარიატისაგან მატერიალურ დახმარების მიღებაზე.

საბჭომ მოკრძალებით აცნობა რუსეთის პროფკავშირებს, რომ მას არ შეუძლია მიიღოს მათი წინადადება და უკან დაუბრუნა ჩეკი".

მუშათა მოძრაობის ლიდერები არ განმარტავენ საბჭოს ამ ნაბიჯს. საერთო აზრით, საბჭოს აფიქრებდა ის გარემოება, რომ მთავრობა შეეცდება აამხედროს საზოგადოებრივი აზრი გაფიცვის ხელმძღვანელთა წინააღმდეგ „წითელი ოქროს" მიღებაში ბრალდებით.

საბჭოს გადაწყვეტილებამ საერთო განცვიფრება გამოიწვია მუშათა მასებში.

## მთავრობის კრიზისი პოლონეთში

„კულაკთა" პარტიის ლიდერის—ვიტოსის ცდები შეედგინა მთავრობა—უშედეგოდ დამთავრდა.

მთავრობის შედგენა მიენდო ვლადისლავ გრაბსკის (უპარტიო).

მემარცხენეებმა წინადადება მისცეს პილსუდსკის დაიკავოს პრემიერ-მინისტრის თანამდებობა, მაგრამ პილსუდსკიმ განაცხადა, რომ მას შეუძლია მუშაობა მხოლოდ არმიაში.

## პოლონეთის ახალი მთავრობა

შესდგა პოლონეთის ახალი მთავრობა პიასტის (შეძლებულ გლეხთა პარტია) ბელად ვიტოსის მეთაურობით.

სკშინსკიმ უარი განაცხადა საგარეო საქმეთა მინისტრობაზე.

# საბჭოთა კავშირში

## მოზრდილ გლეხთა ერთწლიანი კურსები

პოლიტგანათლების მთავარ სამმართველოს განზრახული აქვს ახალ სამოსწავლო წელში გააფართოვოს მოზრდილ გლეხთათვის ერთ წლიანი მოსამზადებელი კურსები 300-დი.

კურსები დანიშნულია ღარიბების, საშუალო შეძლებულთა, შინა მრეწავთა და სასოფლო-სამეურნეო მუშებისთვის.

## რემედასის ცეკას მოწოდება

სსრკ-ს რემედასის ცენტრალურ კომიტეტმა მიმართა რემედასის ყველა წევრებს მოუწოდონ პროლეტარულ საზოგადოებრივ აზრს ინგლისის მებრძოლ პროლეტარიატის სასარგებლოდ.

„თუ რომ მოკლე დროში—ნათქვამია მოწოდებაში—არ მოხდა ინგლისის მთავრობისთვის სასწაული და გაფიცვა არ დამარცხდა, სამოქალაქო ომის მეხი ინგლისში დასჭექავს საქვეყნოდ. ხვალ-ზეგ გაფიცვა შეიძლება გადაიქცეს ინგლისის პროლეტარიატის რევოლიუციონურ გამოსვლად. შეიძლება ხვალვე ალაპარაკდენ ზარბაზნები და ტყვიამფრქვევები და ლონდონის ქუჩებზე აღიმართოს ბარიკადები.

ვიყვნეთ მზად, ამხანაგებო, და გვახსოვდეს, რომ ჩვენ ვართ მრავალმილიონიანი ორგანიზაციის წევრები, რომლის მიზანია დახმარება გაუწიოს რევოლიუციისთვის მებრძოლთ".

## ცენტრალურ პროფსაბჭოს დადგენილება

ვინაიდან ინგლისის პროფკავშირთა საბჭომ უარი განაცხადა დახმარების მიღებაზე, გადაგზავნილი ფული დაბრუნებულ იქნას ცენტრალურ პროფსაბჭოში. გაგრძელებულ იქნას შემოწირულების შეკრება ინგლისის გაფიცულთა სასარგებლოდ.

შეგროვილი თანხა გადადებულ იქნას განსაკუთრებულ ფონდში. ეს ფონდი გადაეცემა ინგლისის მთავარ საბჭოს ან მემადაროე მუშათა კავშირს პირველ მოთხოვნილებისთანავე.

# საქართველოში.

## სახალხო სახლი

ლანირ—ჰაგანის თემში ამ მოკლე ხანში დამთავრდება ამხ. ელიავას სახელობის სახალხო სახლის შენობა.

## სესხი გლეხობას

მიმდინარე წელში ოზურგეთის მაზრის ძირა საკრედიტო კოოპერაციამ დახმარება გაუწია გურიის გლეხობას მოკლე და გრძელ ვადიან სესხით 300 ათასი მანეთის რაოდენობით. დახმარება გაეწია სულ 3.970 კაცს.

## აბრეშ. ჭიის თესლი

ამხანაგობა აბრეშუმმა დაურიგა გლეხობას თავისი დამზადებული აბრეშუმის ჭიის თესლი 5.000 კოლოფის რაოდენობით.

## მეთაურთა და პოლიტ-შემადგენლობის თვით განვითარების შესახებ.

(გაზ. „წითელი არმიელი" 1088 1092, 1094 და 1096 №№-ში მოთავსებულ წერილების გამო)

მართალია ის უდავო ის ფაქტი, რომ ჩვენი მეთაურთა და პოლიტ-შემადგენლობა არ არის მომზადებული სამხედრო და საერთო განათლების დარგში. მიზეზი ამისა მრავალგვარია, რომელთა მოყვანა ჩვენი აზრით, ზედმეტია.

მე ვეხები მხოლოდ რამოდენიმე პრაქტიკულ წინადადებას, რომელთა ცხოვრებაში გატარება საშუალებას მოგვცემს გადავჭრათ ჩვენ ჯარის ეს მტკივნეული საკითხი, ე. ი. საკითხი მეთაურთა და პოლიტ-შემადგენლობის თვით განვითარებისა.

ეს წინადადებები იქნება შემდეგი:

1) ყოველ ნაწილში დაარსდეს მეთაურთა და პოლიტ-შემადგენლობის ცოდნის გასაღრმავებელი ორგანიზაცია სამხედრო სამეცნიერო ორგანიზაციის საშუალებით.

მეცადინეობა წარმოებულ იქნეს რუსულ ენაზე გადახრით, სხვა და სხვა მიზეზების გამო.

2) მიეცეს მეთაურთა და პოლიტ-შემადგენლობას ცოდნის გასაღრმავებელ კურსებზე გაგზავნის უფრო ფართო საშუალება (მოსკოვში), ვიდრე ეს დღემდის იყო, რაც საგრძნობლად ამაღლებს მომზადების საქმეს.

3) საშუალება მიეცეს სამხედრო გამომცემლობებს—გამოსცეს ის სამხედრო წიგნები, რომლებიც აუცილებელი საჭიროა უფროსი მეთაურ შემადგენლობის ცოდნის გაღრმავებისთვის.

4) გამოცემულ იქნას ორკვირეული სამხედრო-სამეცნიერო ჟურნალი, რომელიც საკითხების უნდა მოეწყოს ორგანიზაციულად.

5) გაზეთ „წითელ არმიელს" როგორც ერთად ერთი სამხედრო ორგანოს, ჩვენი დივიზიისა და ინშენერულების საკითხთა ფართოდ მუშაობის გასამხედროების საქმეში, მიეცეს არსებითი და მუშაობის ფართოდ წარმოების საშუალება.

ჯ. ქუთელია.

## ორი სურათი.

ქრიამულია ყაზარმის ეზოში. წითელ არმიელნი გაფაციცებით ემზადებიან, ასუფთავებენ საწოლებს, ნივთებს, საჭურველს.

მალე გაემგზავრებიან საბანაკოდ და უნდათ ყველაფერი რიგზე იყვეს, უნაკლოდ, კოხტად.

ესტუმრებიან ნაცნობ ადგილებს, შეხვდებიან ძველ ნაცნობებს, თუმცა ზამთრის განმავლობაში კავშირი არ ყოფილა შეწყვეტილი, სწარმოებდა მიწერ-მოწერა, მაგრამ პირადათ შეხვედრა სულ სხვაა, სხვა გემო აქვს.

—არაფერი დაგავიწყდეს, ვანო, ყველაფერი კოხტათ ჩაალაგე, მალე გაუდგებით გზას.

—დარდი ნუ გაქვს, ყველაფერი რიგზე იქნება. ოი, შენი ჭირიმე, ნახე სოფლელების ამბავი, სიმღერით და მუსიკით რომ მიუახლოვდებით სოფელს და რომ გამოიშლებიან გზაზე. მაშინ გვმართებს გაჭიმვა და ამაყად გავლა.

—ეგ ყველაფერი კარგი, მაგრამ დაპირებანიც არ დაგვავიწყდეს. ხომ გახსოვს შარშან წამოსვლისას გვთხოვეს წიგნები და სხვა რამე. შენ, ვანო, როგორრა ხარ ამაზე?

—რაც დავპირდი, ავასრულე, მეტიც ვუშოვე, პირნათლად მივალ სოფელთან.

ემზადება ყაზარმა.

ყველა დარგში გაცხოველებული მუშაობაა.

დრამწრე ამზადებს პიესებს შესაფერებს სოფლის სცენისათვის.

მომღერალნი დიდ მუშაობაში არიან.

არც „ავიაქიმი" და „რემედასი" ჩამორჩება სხვებს, გროვდება ლოზუნგი, პლაკატი, წიგნი, ჟურნალი.

არ შერცხვებიან წითელ არმიელნი, დანაპირებს შეასრულებენ, გაახარებენ სოფელს.

——

—აბა, თქვენი ჭირიმე ბიჭებო, მარჯვეთ, მარჯვეთ, თორემ საცა არის მოვლენ, შევრცხვებით, თუ რიგზე არ დავახვედრებთ ყველაფერს—იძახის სოფლის საბჭოს თავმჯდომარე და შველის სხვებს დარბაზის მოწესრიგებაში.

— კაცო, რას გაჩერებულხარ, მიხედე ჩვენ ბიბლიოთეკას, დაალაგე და დაასუფთავე იქაურობა, აი იმ შკაფში ცოტა უწესრიგობაა, არ ვარგა ცუდათ დგომა.

— ვენაცვალე ჩვენ არმიელებს, შარშანდელი ზაფხული ჩინებულად გავატარეთ ერთად. კვირა არ გასულა, არ მოსულიყვნენ და წარმოდგენა არ გაემართათ, მერე რა კაი რამეებსა თამაშობდნენ ხოლმე ის დალოცვილი შვილები. გახსოვს, ბიჭო, ის რო ითამაშეს, აი მღვდელ დიაკვნის ჩხუბი, მუცელი ჩამწყდა სიცილითა.

— მე კიდევ ის მომწონს, ანკესს რომ ეძახიან, საჩუქრებს რომ გვირიგებდნენ კარგი პასუხისათვის, შარშან ცოტა მოვიკოჭლებდი, ეხლა კი არა მიშავს რა, ამ ზამთარს ვისწავლე ცოტაოდენი. ნახე, თუ ჩემზე მეტი საჩუქარი მიიღოს ვინმემ.

სოფელიც ემზადება ძვირფასი სტუმრების შესახვედრათ. კლუბი, ბიბლიოთეკა, სამკითხველო, სამხედრო კუთხე—ემზადებიან, რომ მიიღონ სტუმრები.

——

მალე შეხვდებიან ერთმანეთს წითელ არმიელი და გლეხი, ყაზარმა და სოფელი, რომ ის კავშირი, რომელიც არსებობს მათ შორის, უფრო განმტკიცდეს, გაცხოველდეს.

ელეაზარი.

## ჩვენი პარტიის და კომკავშირის ცხოვრება

### ჩვენი მუშაობა.

1-ლ ცალკე მესანგრე ასეულში.

7 მაისს 1-ლ ცალკე მესანგრე ასეულში შესდგა კომუჯრედის კრება. დღის წესრიგში იყო კომუჯრედის მდივნის საანგარიშო მოხსენება კ. კ. ორგანიზატორის თანამოხსენებით და კომუჯრედის მდივნის გადარჩევა. სანამ კომუჯრედის მდივნის საანგარიშო მოხსენება დაისმებოდა, უჯრედმა წინასწარ ჩაატარა მუშაობა თავის წევრებს შორის. კრებაზე ყველა აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა. კომუჯრედის მუშაობა კრებამ სცნო დამაკმაყოფილებლად. მომავალ კომუჯრედის მდივანს მისცა მრავალი პრაქტიკული წინადადება. აგრეთვე დამაკმაყოფილებლად იქნა ცნობილი კ. კ. ორგანიზატორის მუშაობა და მასზე ხელმძღვანელობა პარტიის უჯრედის მხრივ. არჩეულ იქნა კომუჯრედის ახალი მდივანი.

იმედია ბანაკად მუშაობას ჩვენი პარტორგანიზაცია შეხვდება მომზადებული და გაამართლებს მასზე დამყარებულ ყოველგვარ იმედებს.

მტკვრისპირელი.

## შიგა-პარტიული მუშაობა ჩვენს ნაწილში.

1 დივ. სარტ. ლეგიონი.

პარტიულ მუშაობას უდიდესი ყურადღება ექცევა ჩვენს ნაწილში. საკანდიდატო შემადგენლობის გაზრდის გამო პარტიაში ახალი წევრების მიღება, ზედმიწევნით შესწავლის და მეტი აქტივის გარდა, შეწყვეტილია.

სწარმოებს პარტიის კანდიდატების გადამზადება პოლიტიკური ცოდნის ამაღლებისათვის. როგორც უჯრედი, ისე მთლიანათ ბ/კოლექტივი ცდილობს კანდიდატების გადამზადებას, და ნამდვილ ლენინიზმის თვალსაზრისით აღზრდას და მათ პოლიტიკურ-კულტურულ დონის ამაღლებას.

ხშირია შემთხვევები, რომ კანდიდატებს უჯრედის ბიუროს და პოლიტ-ხელის მიერ ეძლევა დავალებები. დავალების შესრულებაში კანდიდატები ყოველთვის იჩენენ ინტერეს და მიმართავენ რჩევა-დარიგებისთვის გამოცდილ ამხანაგებს, რომ შესაფერისად შეასრულონ დავალება. უჯრედი კანდიდატების წევრებში თავის მოვალეობისადმი პასუხისმგებლობის გრძნობების აღზრდის მიზნით ახდენს მუშაობის გამოცდილებათა სწორ აღრიცხვას, რაც საშვალებას იძლევა მომავალში თავიდან იქნას აცილებული ყოველივე ნაკლი. ყველა მუშაობანი გათვალისწინებულია გეგმაში, რომელიც დგება თვეში ერთხელ და ამიტომ უჯრედის მდივანს საშვალება ეძლევა გაითვალისწინოს მომავალ გეგმის შედგენის დროს, თუ რა ნაკლს ჰქონდა ადგილი გეგმის განხორციელების საქმეში და ამით ხელი შეუწყოს მომავალ თვეში მის გატარებას მთლიანად.

კომუჯრედის გეგმები არის კონკრეტული და თვითეულ კომუჯრედის წევრს შეუძლია გაიგოს—რა უნდა გააკეთოს საანგარიშო თვეში და როგორ შესძლოს მისი გატარება. შიგა-პარტიულ მუშაობის ფორმები და დარგები ისე გამარტივებულია ჩვენს ნაწილში, რომ მის გატარებაში უჯრედი მთლიანად ღებულობს მონაწილეობას.

ტ. მ—ძე.

## რადიო-მოლაპარაკე

ყულევის სოფლის გლეხობამ (ფოთიდან 12 ვერსზე) შეიძინა რადიო-მოლაპარაკე.

## აჭარისტანში

### ჩაის სატყელი მინდორი

მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის გამოკვლევით ჩაის გასაშენებლად შეიძლება გამოყენებულ იქნას 2 ათას დესეტინამდი მიწა. კომისარიატი ამზადებს ჩაის სატყელ მინდორს ქედას მაზრაში.

### ახალი საექიმო წერტი

ხულოს მაზრაში სოფ. ბორჯომში იხსნება ახალი საექიმო წერტი. წერტის მოსაწყობად გადადებულია სათანადო თანხა.

## ჩვენი მრეწველობის საჭირბოროტო საკითხები *)

ჩვენი მრეწველობის თავისებურების გასარკვევათ საჭიროა გავითვალისწინოთ ერთი გარემოება. საქმე ის არის, რომ ჩვენი წარმოების თითქმის ყველა დარგები ადგილობრივი მასალით იკვებება და ამდენათ თუ გვინდა გავიგოთ, თუ როგორი იყო ტემპი ჩვენი მრეწველობის სხვა და სხვა დარგების განვითარებისა, უნდა გავითვალისწინოთ ერთი მხრივ ნედლი მასალის დამუშავება, მისი შემოტანა და წარმოებაში მოხმარა. ეს მოგვცემს საშუალებას გავითვალისწინოთ ჩვენი მრეწველობის საჭიროებანი და მთელი ჩვენი პოლიტიკა აქეთკენ მივმართოთ. ავიღოთ რამდენიმე დარგი წარმოებისა და ნედლი მასალის დამუშავებისა. ბამბა იქნა შეკრებილი:

1923—24 წ.—2,9 მილ. ფ.
1924—25 წ.—6,2 მილ. ფ.
1925—26 წ.—10,5 მილ. ფ.

აქედან შემოტანილ იქნა:

1923—24 წ.—4,5 მილ. ფ.
1924—25 წ.—6,5 მილ. ფ.
1925—26 წ. შემოტანა არ ყოფილა. თუ გადავხედავთ მოხმარებას, ჩვენ დავინახავთ შემდეგ ამბავს:

მოხმარებულ იქნა წარმოებაში:

1923—24 წ.—7,2 მილ. ფ.
1924—25 წ.—12,4 „ „
1925—26 წ.—18,2 „ „

სხვა ნედლი მასალის დამუშავებასაც ეტყობა ასეთი მიმართულება. მაგ. სელი იქნა შეკრებილი:

1923—24 წ.—6,0 მილ. ფ.
1924—25 წ.—8,8 „ „
1925—26 წ.—10,5 „ „

სელის შემოტანა ამ წლებში არ ყოფილა, იყო მხოლოდ გატანა. ასე მაგ. 1923—24 წ. იქნა გატანილი 2,0 მილ. ფ. 1924—25 წ. 3,8 მილ. ფუთი. ჩვენ წარმოებაში იქნა მოხმარებული:

1923—24 წ.—4,1 მილ. ფ.
1924—25 წ. 4,7—5,0 „ „
1925—26 წ. 5,0—5,5 „ „

ავიღოთ კიდევ ერთი დარგი ჩვენი წარმოებისა, სახელდობრ მატყლის დამუშავება.

მატყლი იქნა შეკრებილი:

1923—24 წ.—20,0 ათასი ფ.
1924—25 წ.— 28,0 „ „
1925—26 წ.—30,0 „ „

შემოტანილ იქნა 1923—24 წ. 480,0 ათასი ფ. 1924—25 წ. 350,0 ფ. ჩვენ წარმოებაში იქ მოხმარებული:

1923—24 წ. 282,0 ათასი ფ.
1924—25 წ. 369,0 „ „
1925—26 წ. 440,0 „ „

ეს ეხება წმინდა მატყლის მოხმარებას. ასეთივე ზრდა ეტყობა სხვაგვარ მატყლის მოხმარებასაც. ეს და მრავალი სხვა ცნობები, რომელიც ჩვენ უადგილობის გამო არ შეგვიძლია აქ მოვათავსოთ, ამტკიცებენ იმ დებულებას, რომ იმის და მიხედვით, როგორც იზრდება ჩვენში ნედლი მასალის დამუშავება, თითქმის პროპორციონალურად ამისა, იზრდება ჩვენივე წარმოებაში მისი გადამუშავება. ეს კი თავისთავად ამტკიცებს იმ დებულებას, რომ ჩვენი შინაგანი ბაზარი დაკმაყოფილებული იქნება ჩვენივე მრეწველობის პროდუქციით, რაც ხელს შეუწყობს ჩვენი წარმოების კიდევ უფრო მეტ გაზრდას. საქმე ის არის, რომ ჩვენ წარმოებას მეტად ესაჭიროება მფარველობა კაპიტალისტურ სახელმწიფოების ეკონომიურ გავლენისაგან, და ამ გავლენის თავიდან ასაცილებლად საუკეთესო საშუალებაა ჩვენივე წარმოების პროდუქციის რაოდენობისა და თვისების გაზრდა და გაუმჯობესება, რომელიც მეტოქეობას გაუწევს სხვა ქვეყნების პროდუქციას. ამისთვის იყო, რომ ამხ. ტროცკიმ ჯერ კიდევ წარსულ წელში დასწერა მთელი რიგი წერილებისა, სადაც ჩვენ მრეწველობის ხელმძღვანელ ორგანოებს მოუწოდებდა თავიანთ მრეწველობის პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისაკენ. მართლაც საოცარია ის მდგომარეობა, — ლაპარაკობს ტროცკი,—როდესაც ასანთის ყუთს ზევით აწერია, რომ მასში არის ამდენი და ამდენი ცალი ასანთი, სინამდვილეში კი არის ორი მესამედი იმისა, რაც არსებითად უნდა იყოს. ეს საკითხი ხარისხის გაუმჯობესების შესახებ საკმაოდ დიდხანს დარჩება ჩვენ წარმოებაში გადასაჭრელ საკითხად. ამავე საკითხს მიაქცია ყურადღება ჩვენი პარტიის მე-XIV ყრილობამაც

ჩვენი წარმოების ზრდა, რომელიც ჩვენ ზემოთ მოყვანილ მთელ რიგ ცნობებიდან დავინახეთ უეჭველად დადებითი და პროგრესიული მოვლენაა. ამ განვითარების ფონზე იჭრება მთელი რიგი ეკონომიურ საკითხებისა, რომელიც წინ უდგას პროლეტარულ სახელმწიფოს. მაგრამ ამ ზრდასთან ერთად „ერთდროულად ვითარდება ამ ზრდის განსაკუთრებული წინააღმდეგობა და სპეციფიური საშიშროებანი და სიძნელენი ამ ზრდით გამოწვეული. აქ ეკუთვნის: კერძო კაპიტალის აბსოლიუტური ზრდა მისი როლს შედარებითი დაცემისას, განსაკუთრებით კერძო სავაჭრო კაპიტალისა, რომელმაც თავისი ოპერაციები სოფელში გადაიტანა". (ყრილობის დადგენილება). აი სწორედ ეს მდგომარეობაა გასათვალისწინებელი, როდესაც ჩვენ ვლაპარაკობთ ჩვენი წარმოების ზრდის შესახებ. ჩვენ ზევით კი დეც ვლაპარაკობდით, რომ დღიურ ამოცანათ ჩვენთვის ამჟამად დასმულია არა მხოლოდ საკითხი ჩვენი საერთო ეკონომიურ განვითარებისა, არამედ განვითარებისა განსაზღვრულ მიმართულებით. ჩვენ უნდა შევსძლოთ ჩვენი სოფლისა და ქალაქის მეურნეობაში სოციალისტური ელემენტების გამარჯვება, რაც უზრუნველყოფს ოქტომბრის რევოლუციის მონაპოვარის დაგვირგვინებას, წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ მოგველის ეკონომიური გადაგვარება მარჯვნივ, კაპიტალიზმის მიმართულებით. როგორაა ამ მხრივ მდგომარეობა ჩვენში და კავშირში საერთოდ.

თუ შევადარებთ სახელმწიფოსა და კოოპერატიულ წარმოებას კერძო წარმოებასა ჩვენ მივიღებთ შემდეგ მდგომარეობას: თანახმად ამხ. სტალინის ცნობისა სახელმწიფოსა და კოოპერატიულ წარმოებას ქონდა მთელი წარმოების ჯამიდან 76°/₀, კერძოს 23,7₀/₀ 1924-25 წ. 79,3°/₀ იყო სახელმწიფოს და კოოპერატიულ წარმოებათა ხელში და 20,7°/₀ კერძო მწარმოებელთა ხელში. მომავალ წელში თანახმად საგეგმო კომისიის გამოანგარიშებისა, ხვედრითი წონა კერძო წარმოებისა კიდევ მეტად დაეცემა. ასე მაგ. 1925-26 წ. სახელმწიფოს ხელში იქნება 80 პროც. წარმოებისა, კერძოს ხელში 20 პროც. ეს მოკლე ცნობები ამტკიცებენ იმ დებულებას, რომ უეჭველად ჩვენ წარმოებაში, ისე როგორც სოფლის მეურნეობაში, ხდება სოციალისტური ელემენტების გაძლიერება და აქედან შემცირება კერძო მწარმოებელთა ხვედრითი წონისა.

—ლია.

*) იხ. ჩვენი გაზეთის № 101 (1096)

# 1-ლ ქართულ მსროლელ დივიზიის უპარტიო წითელ არმიელთა მე-6-ე კონფერენცია

### კონფერენციის მე-6 სხდომა

სხდომას თავმჯდომარეობს ამხ. ბახია, რომელიც კითხულობს კამათისთვის ჩაწერილთა სიას. ჩაწერილი აღმოჩნდა ორმოცამდე ორატორი.

კამათში მონაწილე ორატორები ეხებოდნენ წითელ ჯარში არსებულ მუშაობის ყველა ფორმებს და აღნიშნავდნენ უმთავრესათ მუშაობის უარყოფით მხარეებს და აყენებდნენ კონკრეტიულ წინადადებებს.

### სამხედრო სწავლების დარგში

ამხანაგები მოითხოვდნენ სამხედრო ლიტერატურის ქართულ ენაზე შექმნას და მეთაურების მიერ დისციპლინალური პოლიტიკის სწრაფ გატარებას.

### პოლიტ-სწავლების დარგში

ორატორები აღნიშნავდნენ: პოლიტ-ცოდნა ერთერთი იარაღია ჩვენი ბრძოლისა მის ნაყოფიერათ წარმოების საქმეში. მუშაობაში ხელს გვიშლის საგარნიზონო ყარაული. საჭიროა ამ უკანასკნელის შემცირება.

აღნიშნეს კომპლექსიური მეთოდის სირთულე და საჭიროთ მიიჩნიეს ამ მეთოდში მასწავლებლების კიდევ უკეთ მომზადება.

### პარტ-მუშაობის დარგში.

პარტიული წ.-არმ. მოითხოვდნენ პარტ-სკოლების მუშაობის კიდევ უკეთ დაყენებას. უპარტიო წითელარმიელები კი—პარტიაში შესვლის გაადვილების საქმეს.

### სკოლის გარეშე მუშაობის დარგში.

ორატორები აღნიშნავდნენ: მიუხედავად ამ დარგის სირთულისა—რომლის მუშაობა დამძიმებულია აუარებელი დაბრკოლებებით, უნდა აღინიშნოს მაინც ის მიღწევები, როგორიცაა საწრეო მუშაობა სათეატრო მასიურ მუშაობაში და სხვ. მოითხოვდნენ ჯგუფების მუშაობის უკეთ დაყენებას, კინოს, ქართული ცხოვრებიდან სხვა და სხვა პიესების დადგმას და სხვა.

### როგორ უნდა გამოსწორდეს დისციპლინა.

საჭიროა მიმღებ კომისიამ ყოველთვის სიფრთხილით ჩაატაროს ახალგაზრდების მიღების კომპანია. არ მიიღოს ისეთი, რომელსაც არ ეკუთვნის მოწვევა თავისი მდგომარეობის მიხედვით. აღნიშნავდნენ [illegible] ამოღების უარყოფითობას. თბილისელ ამხანაგების გორში ან ქუთაისში გადაყვანას და სხვა.

იმდენათ, რამდენადაც წითელ არმიის შემადგენლობა მცველია საბჭოთა რესპუბლიკების და ყველა მშრომელების განთავისუფლებისათვის ბრძოლი, იმდენათ საჭიროა, რომ ჩვენი წითელი ჯარი სანადოთ მოემზადოს ყოველთვის.

### წითელარმიელების შესახებ.

საშუალო განათლების მქონე წითელარმიელები, რომლებიც დღეს ჩვენს რიგებში არიან და თავიანთ ენერგიას არ იშურებენ ჩვენ ჩამორჩენილ ამხანაგების გათვითცნობიერებისათვის—მოითხოვდნენ წესის თანახმად თუ ისინი ჩააბარებდნენ საშუალო მეთაურის გამოცდებს, ერთი წლის თავზე გაშვებას და უმაღლეს სასწავლებელში შესვლაზე ხელის შეწყობას. მცირე მცოდნე წითელარმიელები მოითხოვდნენ მუშთა ფაკულტეტებში შესვლის საშუალებას.

მთლიანად წითელარმიელების წარმომადგენლები მოითხოვდნენ თავიანთ ოჯახებისათვის იმ უფლებებს, რომლებიც აქვს მინიჭებული წითელარმიელის ოჯახს.

წითელარმიელები შვებულებას მოითხოვდნენ 6 თვეში ერთხელ, ზოგი კი წელიწადში ერთხელ.

ამის შემდეგ კონფერენცია გადავიდა მორიგ საკითხზე: საბანაკო პერიოდის მუშაობა.

მომხსენებელი იყო პოლიტგანყოფილების წარმომადგენელი ამხ. **მიძაძე.**

თავის მოხსენებაში მან აღნიშნა, რომ საბანაკოდ გასვლა არამც თუ ცვლის შეჩვეულ ყაზარმულ ცხოვრების კალაპოტს, არამედ გვიყენებს ახალ ამოცანებს. უმთავრესი ყურადღება უნდა მიექცეს პრაქტიკულად იმ ცოდნის შეთვისებას, რაც იქნა განვლილი საზამთრო პერიოდში თეორეტიულად. ბანაკობის დროს ყველაზე მეტი ყურადღება უნდა მიექცეს დისციპლინის განმტკიცების საქმეს, ვინაიდან ბანაკად მუშაობა უფრო რთულია, ვინემ ყაზარმაში.

მომხსენებელმა სთქვა: ვინაიდან სამხედრო საბანაკო მუშაობა მჭიდროთ არის გადაჯაჭვული პოლიტ-განმანათლებელ მუშაობასთან, ამიტომ პოლიტ-აპარატს მართებს მეტი მოქნილობა და მეტი შრომა. საერთოდ საბანაკო მუშაობის მთავარი მიზანი უნდა იყოს წითელარმიელში „საბრძოლო ტრადიციების განვითარება“. მოხსენების დამთავრებისას ამხანაგმა უსურვა ორივე ლეგიონს ბანაკად ნაყოფიერი მუშაობა.

### კონფერენციის მე-8 სხდომა.

დარჩენილია სამანდატო კომისიის მოხსენება და რეზოლიუციების დამტკიცება.

### რეზოლიუცია საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ.

მე-6 უპარტიო წითელარმიელთა კონფერენცია ითვალისწინებს თანამედროვე კაპიტალისტურ გარემოცვის პირობებს—ერთის მხრივ საბჭოთა კავშირის გაძლიერება კულტ-პოლიტ ეკონომიურად, რაც იძლევა გარანტიას საბ. კავშ. სოციალისტურ მშენებლობისას.

მეორეს მხრივ: უკვე კაპიტალიზმის სტაბილიზაციის შერყევა:

დასავლეთის და აღმოსავლეთის რევოლიუციონური პროლეტარიატის აშკარა გამოსვლა კაპიტალის წინააღმდეგ—რომლის საუკეთესო ფაქტორი ინგლისის პროლეტარიატის ამხედრებაა და სხვა,—რაც უეჭველად აახლოვებს მსოფლიო ოქტომბერს და მრავალ მილიონ დაჩაგრულ ხალხების განთავისუფლების საქმეს. ზემო დასახელებულ ფაქტორების გამო, კონფერენცია გამოსთქვამს შემდეგს:

იმისათვის, რომ კაპ. ქვეყნებს სოციალისტურ რევოლიუციისათვის შექმნილ პირობებს—შევხვდეთ სათანადოთ მომზადებული—რათა გამარჯვებით დავაგვირგვინოთ, შრომასა და კაპიტალს შორის საბოლოო ბრძოლა—შრომის გამარჯვებით გავაძლიერებთ მუშაობას ყველა დარგებში.

შევიყვარებთ სამხედრო საქმეს მთელი ჩვენი ენერგიით და შესაძლებლობით, ვეცდებით ვისწავლოთ და განვითარდეთ. კიდევ მეტათ გავამტკიცებთ შეგნებულ დისციპლინას.

ხელს შეუწყობთ ჩვენი გამარჯვების ერთად-ერთ ჭეშმარიტ საშუალებას მუშის-გლეხის და წითელ არმიის კავშირს.

ყოველმხრივ მომზადებული მუდამ მზად ვიქნებით ლენინის, ანდერძის განხორციელებისათვის. რეზოლიუციას მქუხარე ტაშით შეეგება კონფერენცია.

### რეზოლიუცია ადგილობრივ ორგანოების მუშაობის შესახებ

კონფერენცია აღნიშნავს რა თბილისის აღმასრულებელ კომიტეტის მუშაობაში მრავალ მიღწევებს—საჭიროთ სთვლის მომავალ მუშაობაში წ. ჯარის აღმშენებლობის საქმეში აღმასკომმა მიაქციოს მეტი ყურადღება შემდეგს:

1. ყაზარმების განათება ვერ არის სასურველ დონეზე დაყენებული. ხშირათ საღამოს საწრეო და მასიურ მუშაობას ხელს უშლის უსინათლობა.

2. ყაზარმები ითხოვენ შეკეთებას. ყაზარმების მდგომარეობა ნაწილობრივ ხელს უშლის წითელ არმიელთა—როგორც ნორმალურ ყოფა-ცხოვრებას, აგრეთვე სამხედრო და პოლიტ. სწავლებას. საჭიროა აღმასკომის მიერ მეტი მზრუნველობა, ყაზ. შეკეთების საქმეში.

3. არის შემთხვევები, როდესაც წყალსადენის მილები არის დაზიანებული, რაც იწვევს წყლის თავის დროზე მოუწოდებლობას. ეს რევს ჯარის ცხოვრებას.

ეს გარემოება ღირსია თავის დროზე სათანადო ყურადღების.

4. უვადო შვებულებაში მიმავალ წ. არმიელებს აღმასრულებელმა კომიტეტმა უნდა გაუწიოს მეტი დახმარება სამსახურის აღმოჩენის და სწავლა-განათლების საშუალების მიცემის საქმეში.

5. აღმასკომმა უნდა მიაქციოს ყურადღება უფ-პოლიტ-შემადგენლობის ბინის საკითხს. არის შემთხვევა, როდესაც უფ-პოლიტშემადგენელს უხდება ცხოვრება ქ. აღმასკომის სახლებში—მოქალაქეებს კი სამხედრო სახლებში—მიუხედავათ ამისა სამხედრო პირს ხშირად, ქ. აღმასკომი ასახლებს ადმინისტრატიული წესით. საჭიროა ოდნავი დათმობა სამხედრო პირებისადმი.

### ბანაკათ მუშაობის რეზოლიუციაში, კონფერენციამ მთავარ გეზათ აიღო

ა) თეორეტიული ცოდნა პრაქტიკაში გადატანა. ბ) აღლუმების და სპორტიული მუშაობის ფართოთ გაქანების საშუალებით წ. არმიაში საბრძოლო სულის ტრადიციის განვითარება. გ) დაახლოვება სოფელთან შეფის საშუალებით.

### საზამთრო პერიოდის მუშაობის შესახებ.

მე-6 უპარტიო წ. არმიელთა კონფერენცია ადასტურებს შემდეგს:

1. საზამთრო პერიოდის მუშაობა, როგორც სამხედრო ისე პოლიტიკურ დარგში წარსულთან შედარებით უნდა ჩაითვალოს ფრიად დამაკმაყოფილებლად. ამასთანავე კონფერენცია კმაყოფილებით აღნიშნავს იმ მიღწევებს, რომელიც გვაქვს საზამთრო პერიოდის მუშაობაში, რასაც ხელი შეუწყო იმ გარემოებამ, რომ ჩვენმა ნაწილებმა მიიღო შედარებით წასულ წელთან უფრო მომზადებული ახალწვეულები.

### სამხ. დარგში.

1. ნაწილებმა წინასწარ აწარმოეს სამზადისი ახალწვეულების მისაღებად, რასაც ხელი შეუწყო სამეცადინო გეგმების დროზე მიღებამ. უმცროსთა და საშუალო მეთაურთა შედარებით წასულ წელთან საკმაო რიცხვმა, ინდივიდუალურმა მიდგომამ ახალწვეულებისადმი პსიქო-ტეხნიკურ გამოცდები, ყოველივე ზემო აღნიშნულმა ხელი შეუწყო საზამთრო პროგრამის დათავებას და ნაყოფიერ შეთვისებას, რის შედეგიც იყო სროლის საქმეში მიღწევები.

2. დისციპლინის დარღვევას პირველ ხანებში მეტი ადგილი ჰქონდა, რის მიზეზად უნდა ჩაითვალოს ა) წ. არ. შეუგნებლობა ყაზარმულ ცხოვრებასთან. ბ) უმცროსი და საშუალო მეთაურთა ერთეულ შემთხვევაში არა სწორი მიდგომა წ. არმიელებისადმი.

3. დისციპლინის დარღვევას პირველ ხანებში კიდევ ხელს უწყობდა შინა სამსახურის, დისციპლინარული და საგარნიზონო წესდებების უქონლობა ქართულ ენაზე.

4. მიუხედავად იმისა, რომ ნაწილს წ. მოლაშქრეებისას საკმაო წარმოდგენა აქვთ სამხ. პირის მოვალეობაზე, მაინც პირადი ინტერესების გამო არღვევს სამხედრო წესრიგს, რასაც კონფერენცია ხაზს უსვამს და გამოსთქვამს იმ აზრს, რომ ამ ნაკლის გამოსწორება თვით წ. არმიელთა მოვალეობას შეადგენს. გ) საზამთრო გამომწვევ კომისიების მიერ შეცდომის დაშვება, რაც გამოიხატება იმ ახალწვეულთა გამოყვანაში, რომლებზედაც ვრცელდებოდა შეღავათები.

5) დეზერტირობას და თვითნებითი წასვლას ნაწილიდგან ხელს უწყობს ის გარემოება, რომ ნაწილზე მოშორება ექვსი დღის განმავლობაში ითვლება მხოლოდ თვითნებითი წასვლად და ეს დანაშაულობა ისჯება დისციპლინარული წესით. კონფერენციას საჭიროდ მიაჩნია, რომ ნაწილიდან თვითნებითი წასვლა სამი დღე ღამე და მეტი ითვლებოდეს დეზერტირობად.

6) რომ იქნეს აღმოფხვრილი დეზერტირობა საჭიროა აგრეთვე ადგილობრივი ხელისუფლების მეტი ყურადღება. კონფერენცია ხაზგასმით აღნიშნავს: ადგილებზე ხდებოდა მოწმობების გაცემა დეზერტირ წ. არმიელზედ—რკინის გზებზე არ ხდებოდა მოწმობების მოთხოვა და გასინჯვა, რასაც შემდეგში ყურადღება უნდა მიექცეს.

### პოლიტ-დარგში

7) პოლიტიკურ დარგში მიღწევად უნდა ჩაითვალოს: 1) პოლიტ-მეცადინეობის ჯგუფურ სისტემაზე აგება და მეცადინეობის თავის სიმაღლეზე დაყენება. მიუხედავად იმისა, რომ კომპლექსიურ მეთოდის გატარებაში გვაქვს ნაკლი, მაინც ამ სისტემით მეცადინეობა მიზანშეწონილი და ნაყოფიერია.

ამასთანავე კონფერენცია აღნიშნავს ქართულ ენაზე მასიურ ლიტერატურის უქონლობას, რასაც უნდა მიექცეს ყურადღება.

8) მიუხედავად იმისა, რომ სკოლის გარეშე მუშაობაში წარსულთან შედარებით გვაქვს მიღწევები, მაინც მუშაობა ვერ არის დაყენებული თავის დონეზე, რასაც მიექცეს სათანადო ყურადღება, და მომავლისათვის შეეცადოს მეტი წ/არმიელთა მასის ამ დარგში ჩაბმას. სკოლის გარეშე მუშაობა ჩვენს ნაწილებში ნაკლებად უწყობს ხელს სამხ. ცოდნის გაღრმავებას და წ/არმიელის გასამხედროებას, რაც უნდა ჩაითვალოს უმთავრეს ნაკლად მუშაობაშ.

დღის 1-საათზე დაასრულა კონფერენციამ თავის მუშაობა და დაიშალა.

## გორის გარნიზონი

1-ლ ქართ. დივიზიის გორის საგარნიზონოში მყოფ უპარტიო წითელ არმიელთა 6 კონფერენცია გაიხსნა 4 მაის. კონფერენცია გახსნა დივპოლიტ-განყოფილების წარმომადგენელმა ამხ. კოპაძემ, რომელიც მიესალმა კონფერენციას და უსურვა ნაყოფიერად მუშაობა.

კონფერენციას მიესალმენ გორის აღმასკომის თ-რე ამხ. ქურდაძე, პროფკავშირის და ახ. ლ.კ.კ. წარმომადგენლები ამხ. ამხ. ფოცხოშვილი და მითაიშვილი.

კონფერენციის მიერ ერთ ხმათ იქნა არჩეული პრეზიდიუმის წევრები შემდეგი ამხ-ნი: ზრეზიდ. საპატიო წევრებათ იქმნენ არჩეულნი.

1) სტალინი, 2) ვოროშილოვი, 3) მახარაძე, 4) ორჯონიკიძე, 5) ბუბნოვი, 6) ბუხარინი, 7) კვირიკაძე.

შემდეგ მოსმენილი იქნა მოხსენებები სხვა და სხვა საკითხებზე. პირველად მოვისმინეთ მოხსენება გორის აღმასკომის მოღვაწეობის შესახებ, საერთაშორისო მდგომარეობაზე და ადგილებიდან მოხსენებები.

## ჩვენი კავშირი სოფელთან

**მე-4 ლეგ. 9 ასეული.**

ასეულს შეფობის ქვეშ ყავს აყვანილი სოფ. ხოსპია და სოფ. კულიკაში, რომლებსაც შესაფერ დახმარებას უწევთ შესაძლებლობის ფარგლებში. ხშირად უგზავნით სოფლების ქოხ-სამკითხველოებს ჟურნალ-გაზეთებს, რომლითაც ისინი დიდი კმაყოფილი რჩებიან. ამას გარდა ვაგზავნით მომზადებულ ამხანაგებს საუბრების ჩასატარებლად. ყველა საყურადღებო საკითხებზე შესაფერ ახსნა-განმარტებას ვაძლევთ.

ტერშეკრების შესახებ უკვე ჩავატარეთ სათანადო კამპანია მახლობელ სხვა სოფლებშიაც.

გაცნობილი აქვთ მისი მიზანი და ის, თუ რამდენად დიდი სარგებლობა მოაქვს მას სოფლებისათვის. ყველა ყურადღებით ეკიდებიან კამპანიას და თვითონვე გვიწევენ საჭირო დახმარებას.

**ა. იმერლიშვილი.**

## სამკითხველო გვაკმაყოფილებს

**მე 4 ლეგ. მე-8 ასეული.**

ჩვენი სამკითხველო მდიდარია წითელ არმიელებისათვის საჭირო ლიტერატურით. იქვე არსებობს სამხედრო კუთხე, რომელიც ძლიერ იზიდავს წითელ არმიელების ფართო მასას. სამკითხველო უხვათ აწვდის კუთხეს სამხედრო ხასიათის ლიტერატურას. ხშირად იყრიან ჩვენთან ერთად თავს მეთაურებიც და გვესაუბრებიან სხვა და სხვა საჭირბოროტო საკითხებზე. თავისუფალ საათებში ყოველთვის კუთხეში ვიმყოფებით და ვმეცადინეობთ.

მადლობის ღირსია სამკითხველოს გამგე, რომელიც ენერგიულად გვაწვდის შერჩეულ ლიტერატურას.

**წ. არმ. ა. ხარებაშვილი.**

# ᲐᲛᲑᲔᲑᲘ ᲛᲐᲖᲠᲔᲑᲘᲓᲐᲜ

## ᲚᲢᲝᲚᲕᲐ ᲡᲐᲡᲝᲤᲚᲝ-ᲡᲐᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡᲐᲙᲔᲜ

ოზურგეთის აღმასკომში შემოვიდა ჩოჩხათის, სუფსის, ძიმითისა და სხვა თემებისაგან შუამდგომლობა სასოფლო-სამეურნეო სკოლების გახსნის შესახებ.

## ᲓᲐᲮᲛᲐᲠᲔᲑᲐ ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘᲡ ᲒᲐᲤᲘᲪᲣᲚᲔᲑᲡ

ქუთაისში გაიმართა რკინის გზის მუშა-მოსამსახურეთა მრავალრიცხოვანი კრება. ინგლისის გაფიცვების შესახებ მოხსენების შემდეგ კრებამ ერთხმად დაადგინა გადასდონ ერთი დღის ხელფასი ინგლისის გაფიცულ მუშათა სასარგებლოდ.

## ᲨᲐᲕᲘ ᲥᲕᲘᲡ ᲒᲐᲢᲐᲜᲐ

ფოთის ნავთსადგურიდან ამერიკისაკენ გავიდა გემი „ბენკარო" 7.472 ტონა (ტონა—61 ფუი) ნახშირით დატვირთული.

## ᲢᲧᲘᲡ ᲓᲦᲔ

15 მაისს თელავის მაზრაში ტარდება ტყის დღე. კომისიის მიერ შედგენილ გეგმის მიხედვით წარმოებულ იქნება ტყის წმენდა, შედგენილ იქნება ადგილებზე ტყის მეგობართა უჯრედები და სხვა.

## ᲒᲚᲔᲮᲙᲝᲛᲔᲑᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐ

წინანდალის გლეხკომმა გაანაწილა თავის წევრთა შორის 81 ათასი ვაზი. ახმეტას გლეხკომმა შეადგინა 35 კაცისაგან კოლექტივი, რომელიც მუშაობს საფონდო მიწაზე. კოლექტივმა დამყნა მიმდინარე სეზონში 25 ათასი მეტრი ამერიკული ვაზი. საბუხისა და შილდას გლეხკომებმა შეიძინეს თითო ტრაქტორი. ყვარლის გლეხკომმა შეიძინა მდინარე ალაზანზე ბორანი.

## ᲭᲠᲐ-ᲙᲔᲠᲕᲘᲡ ᲡᲙᲝᲚᲔᲑᲘ

პანკისის ხეობის რაიონში, სოფ. ჯოყოლოსა და იყალთოში გაიხსნა პროფესიონალური სკოლები (ჭრა-კერვის) ქალთათვის. სკოლაში სწავლობს 35 ქისტი, ფშავი და ოსის ქალი.

## ᲐᲮᲐᲚᲘ ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝ-ᲡᲐᲓᲒᲣᲠᲘ

მდინარე ჯეჩორზე შენდება ჰიდროელექტრო-სადგური. სადგურისთვის ითხრება გვირაბი 26 საჟენზე და არხი—100 საჟენზე. სადგური სამსახურს გაუწევს ონსა და მეზობელ სოფლებს. სადგურის დამთავრება გათვალისწინებულია მიმდინარე წლის ნოემბერში. გეგმა შედგენილია ინჟენერ ფირალოვის მიერ.

# ᲙᲐᲠᲒᲐᲓ ᲛᲝᲕᲔᲬᲧᲕᲔᲗ.

ცხენ. ლეგიონი.

ბანაკში გასვლის შემდეგ ლეგიონმა დასტოვა ყაზარმებში თავისი ერთი ნაწილი, რომელიც შეუდგა საზაფხულო ცხოვრების მოწესრიგების საქმეს. დარჩენილი ნაწილი მოეწყო ერთ შენობაში, მოაწესრიგა სამუშაოების საქმე. სამხედრო და პოლიტმეცადინეობას განვაახლებთ ამ დღეებში, როდესაც კი მოვრჩებით საერთო მოწყობის საქმეს. დარჩენილი პარტამხანაგები მიმაგრებული არიან საპონ-ტრესტის ორგანიზაციასთან.

საერთოდ იმედი გვაქვს, რომ ჩვენც შესაფერ მუშაობას დავიწყებთ და არ ჩამოვრჩებით ბანაკად გასულ ლეგიონს.

პ. კ—ძე.

# ᲐᲮᲐᲚᲬᲕᲔᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲚᲝᲓᲘᲜᲨᲘ

6-ე ლეგიონი

12 მაისიდან ჩვენს ლეგიონს ესტუმრება 1903 წელში დაბადებულები ცვალებად შემადგენლობა, ამის სამზადისს კარგი ხანია შეუდგა ლეგიონი. ახალწვეულები ჯერ არ არიან ახალ ყაზარმულ ცხოვრებას გაცნობილი და ძველ წითელ არმიელებმა უნდა აუხსნან მათ წითელი ყაზარმის მნიშვნელობა, ვის ემსახურება დღეს წითელი არმია, როგორი უფლებებით სარგებლობს წ. არმ. და სხვა. აგრეთვე საჭიროა ყურადღება მიაქციონ, როგორც ძველ წითელ არმიელებმა, ისე უფროს ამხანაგებმა, რომ გამოცოცხლდეს ლეგიონში ამჟამ ხანს შესუსტებული წრეების მუშაობა უმთავრესი ყურადღება კი სამხკორთა წრეს უნდა მიექცეს, რომელიც ამდენხანს თითქმის სულ მიძინებული იყო.

სამხკორთა წრეზე არის დაყრდნობილი მთელი ლეგიონის მუშაობა და მისი ავისა და კარგის გამომხატველი ის არის. აგრეთვე საჭირო არის პარტსკოლის და კომკავშირის ჯგუფის მუშაობის გამოცოცხლება. ამაში უმთავრესი როლი უნდა ითამაშოს ლეგიონის კ. კ. ორგანიზატორმა და ბიურო კოლექტივის მდივანმა. საჭიროა აგრეთვე ლენკუთხის მუშაობის გაღრმავება, რომ სრული 100 პროც. იქნას დაკმაყოფილებული ახალწვეულების სურვილი.

სალამი 1903 წ. დაბადებულ ცვალებად შემადგენლობას!

გაუმარჯოს მათ მომავალ მუშაობას ჩვენს ყაზარმაში!

სამხკორი ნინუაკუთხელი.

# ᲬᲔᲠᲐ-ᲙᲘᲗᲮᲕᲐ ᲧᲕᲔᲚᲐᲛ ᲨᲔᲘᲡᲬᲐᲕᲚᲔᲡ

1-ლი ლეგ. 6 ასეული

ასეულში თავიდანვე დიდი ყურადღება ექცეოდა წერა-კითხვის უცოდინარეობის მოსპობის საქმეს.

უკანასკნელ ხანამდე სწარმოებდა წითელ არმიელებთან მეცადინეობა. 4 მაისის გამოცდამ ბრწყინვალე შედეგები მოგვცა ამ მხრივ. წითელ არმიელებს კარგი მომზადება ეტყობოდათ. კარგათ მოპასუხე ამხანაგებს დაურიგდათ საჩუქრები. დასასრულ მოხდა მათი საზეიმო გამოშვება, რომლებსაც მიესალმენ მთელი რიგი ამხანაგები და მოუწოდეს კიდევ უფრო გაღრმავონ მუშაობა და ყაზარმაში მიღებული ცოდნა.

წ. არმ. თედიაშვილი.

# ᲘᲥ ᲒᲐᲛᲝᲩᲜᲓᲔᲑᲐ

(ნაწყვეტები)

— დაიკარგე აქედან შე ქეციანო!

შეეხუმრა არჩილა ნიკას, რამან თავის დაცვა დაიწყო შემომტევ ტოლებისაგან...

— ვინცაა ქეციანი, იქ გამოჩნდება!

მიუგო ნიკამ მოქიშპეს.

ეს იყო საღამო ხანს, წყაროზე, სადაც ახალგაზრდა ჯარში გასაწვევ ბიჭებს თავი მოეყარათ და საუბრობდენ მოსავალ ჯარში გაწვევაზე, მის მნიშვნელობაზე; სადაც ადარებდენ ერთმანეთს ძველ ჯარში სამსახურს და ახლანდელში...

საგაზაფხულო სიამით აღტეხილი სოფელი იცინოდა ნეტარებით; არე-მარე მწვანე სამოსში ეწყობოდა; სიხარული ფრთებს ჰშლიდა...

საღამოს ბინდება დღეს სცვლიდა საგუშაგოზე...

ნახირი, ღორ-ხბო შემოესია სოფელს ხმაურით, და თავთავის კერას მიაშურეს; ნაწილი საქონლის ავაზანს მიაწყდა წყურვილის მოსაკლავად...

გაზაფხულის მცვრიან ბალახის ნოყიერ რძით დატენილი ცურები იცლებოდა სარძევეებში...

ბუნება სასიამო სურნელს აკმევდა ყვავილით ანაბერტყს...

ახალგაზრდები კი ეკამათებოდენ ერთმანეთს, ყველა ცდილობდა თავისებურად მისდგომოდა საკითხს, ოხუნჯობდენ, იცინოდენ; აგერა მოშაირე ვინოც კი ჩაერია საუბარში; მაგრამ ლაპარაკის ფერხული კი მაინც წითელ ჯარში წასვლაზე, და მის ირგვლივ დაკავშირებულ საკითხებს უტრიალებდა...

— ამხანაგებო!

ჩაერია წითელ ჯარში ნამყოფი გიგა, რომელმაც რა შეატყო, რომ ზოგიერთებს ნამდვილი წარმოდგენა არ ჰქონდა დღევანდელ ჯარზე და წითელ ყაზარმის მნიშვნელობაზე, გადასწყვიტა გაეზიარებინა თავისი ცოდნა.

— სსუ, ბიჭებო, მოვუსმინოთ.

— ყური ვუგდოთ.

— აბა, გთხოვთ, გიგა.

— აგვიხსენი... აბა შენ იცი... შემოეხვიენ...

და, იმ გიგას, რომელსაც ჯარში წასვლამდე „ცინგლიანს" ეძახდენ, რომელსაც ვინა ჰკითხავდა „ბალი ათი შაურიაო", ეხლა კი, რა წითელ ყაზარმიდან ცოდნით აღჭურვილი დაბრუნდა, სოფელში ისე არაფერი გაკეთდებოდა საერთო საქმე, რომ ამისთვის არ ეკითხნათ.

და, ეხლაც, რა ის ჩაერია საუბარში, ყველას იმედი მიეცა, რომ რაღაცას შეიძენდენ მისი საუბრით, რაღაცას გაიგებდენ ახალს.

და, ისიც მოჰყვა: აუწერა ყაზარმის ცხოვრება, სამხედრო სწავლის მიღება, პოლიტიკური და ლიტერატურული ცოდნის შეძენა, შესწავლა ყოველივე იმის რაც ყველამ არ იცის, ერთი სიტყვით:

— დღევანდელი ყაზარმა, ძველი დროის ყაზარმა კი არაა, სადაც სალდათს ზრდიდენ საზარბაზნე ხორცად, არამედ ეხლა უფრო სკოლაა, სადაც იზრდება ჯარის-კაცი—მოქალაქე, და..

განაგრძობდა გიგა...

— ელაპარაკე მა ნიკასა და მე ვიცი ბევრს გაიგებს.

დაცინვით გადაუკრა არჩილამ, რითაც გაადიზიანა ნიკო, რომელსაც წელანდელი დაცინვაც კი არ მოენელებინა ჯერ...

— რათა, ამხანაგებო, მაგას ნუ იტყვით; წითელ ყაზარმაში ბევრი სოფელში დაცინული ბიჭი შესულა, მაგრამ იქიდან ნამდვილი შეგნებული და ყველას საპატივცემო გამოსულა.

წარმოსთქვა გიგამ და ამაყად გადახედა შეკრებილთ; მის ოდნავ ღიმილში დაკვირვებული თვალი და გაგება უთუოდ შეამჩნევდა, რომ თავისზე ამბობდა...

ბევრმა იგრძნო ეს, აქ იყო მენახირე სვიმანაც, რომელსაც არა ერთხელ დაუძახია „ცინგლიანი", და შერცხვა, კომბალზე დაყრდნობილმა თავი ძირს დახარა..

ეს იცოდა ნიკამაც და გათამამდა, არჩილას შეუტია...

— შენა, ეი, რათ მიხირდები, ვითომ რითვინაო? ა? შე მართლაც ვერანავ, შენა მე მაჯობებ? იქ გამოჩნდება ყველაფერი, იქა, მაშა, რა გგონია?!

— ვნახოთ.

დაიკვეხა არჩილამ.

— თუ მშრომელთა დაცვაზეა საქმე, ვნახოთ მე და შენში რომელი აჯობებს.

არ ისვენებდა ნიკა.

ისე იყვნენ ერთმანეთზე აღრენილნი, რომ გიგამ საჭიროდ სცნო ჩარევა და მორიგება...

ბინდი აიმრიზა...

საკინძ გახსნილი ბიჭები ემზადებოდენ საიერიშოდ...

ყაზარმის კედლებს მოელოდა ზანზარი მათი ხმაურით; სისხლისფერი დროშა სანეტაროდ იბერტყდა კალთებს მათ შესახვედრად...

სოფელი უგდებდა წყაროს სათავეს ახალი ძალით..

ს. ერ—ლი.

# ᲮᲨᲘᲠᲐᲓ ᲐᲡᲔᲗᲘ ᲔᲥᲡᲙᲣᲠᲡᲘᲔᲑᲘ.

1-ლი ლეგიონი.

9 მაისს ლეგიონის 2 ასეულის წითელ არმიელები წაგვიყვანეს რევოლიუციონური მუზეუმის დასათვალიერებლად, ასეულში პოლიტსკოლიდან მოვლენილ კურსანტებმა.

მუზეუმმა მეტად კარგი შთაბეჭდილება მოახდინა ამხანაგებზე. აქ დაწვრილებით გავეცანით ჩვენში რევოლიუციონურ მოღვაწეებს და საქართველოში მეფის დროს მომხდარ სხვა და სხვა აჯანყებების და მოძრაობის ბელადების სურათებს.

ამას შემდეგ წაგვიყვანეს სასოფლო-სამეურნეო მუზეუმში. აქ გავეცანით საქართველოს ყველა კუთხეების ცხოვრებას და მათ სამეურნეო საქმიანობას. ვინახულეთ პირველ ყოფილი სასოფლო-სამეურნეო იარაღები, ახალი ტრაქტორები.

წითელ არმიელები კმაყოფილი დარჩენ ექსკურსიით. კარგი იქნება ხშირად გვანახებდენ ასეთ დაწესებულებებს.

წ. არმ. კ. მესხიშვილი

# ᲐᲛᲮ. ᲐᲛᲮ. ᲬᲘᲗᲔᲚᲐᲠᲛᲘᲔᲚᲔᲑᲝ ᲒᲐᲛᲝᲘᲬᲔᲠᲔᲗ, ᲓᲐ ᲒᲐᲐᲕᲠᲪᲔᲚᲔᲗ ᲗᲥᲕᲔᲜᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ „ᲬᲘᲗᲔᲚᲘ ᲐᲠᲛᲘᲔᲚᲘ"

# ᲞᲐᲡᲣᲮᲘ ᲡᲐᲛᲮᲙᲝᲠᲔᲑᲡ

თათულოვს. (1-ლი ლეგ.) თქვენი კორესპონდენცია პრაქტიკანტ კურსანტების შესახებ არ დაიბეჭდება. ასეთი იყო ჩვენს გაზეთში.

დურბინდს. (6-სე ლეგ.) წერილი ათასეულის მეთაურის შესახებ არ დაიბეჭდება. ქება არ არის საჭირო. წითელ ჯარში მომუშავე თითეული ამხანაგი პირნათლად უნდა ასრულებდეს ისედაც თავის მოვალეობას.

ფასკუნჯს. (1-ლი არტლეგიონი) თქვენი კორესპონდენცია ცუდი ყოფა ქცევის მეთაურზე, გადაეგზავნა ნაწილის სამხედრო კომისარს საქმის გამოსარკვევად და შესაფერი ზომების მისაღებათ.

გონგლაძეს. (1-ლი ლეგიონი) თქვენს წერილში აღნიშნული საკითხის შესახებ მიმართედ ნაწილის უფროსს. ის გამოარკვევს საქმეს.

ა. იმერლიშვილს. (მე-4 ლეგ.) წერილი 23 წლის წინად. არ გამოდგა.

კახელს. (2 ლეგ.) წერილი ასეულის ცხოვრების შესახებ არ გავა. ასეთი იყო ჩვენს გაზეთში.

ვ. დოლიძეს. (6 ლეგ.) წერილი გაწვევის შესახებ არ გამოდგა. საჭიროა ფაქტები იმის შესახებ თუ რა კეთდება და არა საერთო მშრალი ფრაზები.

გოჩელს. (1-ლი ლეგ.) წერილი საერთო კრების შესახებ ძლიერ დაგვიანებულია. არ დაიბეჭდება.

## ვის აქვს საწინააღმდეგო?

1-ლ ქ. მ. დივიზიის ცალკე მესანგრე ასეულის კომუჯრედში შემოტანილი აქვთ განცხადება პარტკანდიდატებათ მიღების შესახებ:

1) შარვაშიძე ვალერიანს (გლეხი. ქ. ქუთაისის მაზრა სოფ. ვარციხედან), 2) ვასილ ბაქიაშვილს (გლეხი. მიწის მუშა. თელავის მაზრის სოფ. ხოდაშენიდან).

ვისაც აქვს რაიმე საწინააღმდეგო მათ შესახებ, ვთხოვთ გვაცნობონ ერთი კვირის განმავლობაში.

კომუჯ. პ. მ. მდივანი მურადოვი.

**ᲓᲐᲕᲙᲐᲠᲒᲔ** პროფესიონალური კავშირის, წიგნაკი №8777 და კომკავშირიდან მოცემული მოწმობა №707 შარი ფოლლის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.

## ᲠᲐ ᲦᲘᲠᲡ „ᲬᲘᲗᲔᲚᲘ ᲐᲠᲛᲘᲔᲚᲘ"!!

ცალკე ხელის მომწერთათვის:

1 თვით — 50 კაპ.
3 თვით — 1 მ. 35 კ.
6 თვით — 2 მ. 50 კ.
12 თვით — 5 მან.

წითელ-არმიელებისათვის კოლექტიური ხელის-მოწერა არა ნაკლებ 10 ცალისა:

1 თვით — 40 კაპ.
3 თვით — 1 მ. 10 კ.
6 თვით — 2 მ.
12 თვით — 3 მ. 80 კაპ.

ცვალებადელთათვის სოფელში გადაგზავნით იგივე რაც წითელ არმიელებისათვის

ნ. ღ. ს. ც. სამხედრო სტამბა კეცხოველის ქ. № 3 დრ. პასუხისმგებელი რედაქტორი ბ. ადამაძე.